1 თებერვალი

2023

რიგითი IV კვირა [IV], მწ

(19.I) წმ. ღიხსი ანტონ მესვეტე, მახტომყოფელი, VIს

ოთხშაბათი

ებრ 12,4–7.11–15; ფს 102; მარკ 6,1–6

ფეკვირდა მთი ფურწმუნოება მარ 6,6

იესო ბრუნდება თავის მშობლიურ ნაზარეთში. ის უკვე აღარაა მარიამის და დურგლის შვილი: იორდანეში ღმერთმა თავის საყვარელ ძედ გამოაცხადა იგი. თუმცა, მისი ახლობელ-მეგობრები ამ კუთხით ვერ იღებენ მას და ცუდად ეპყრობიან.

თუმცა, იესოს მთთვისაც ჭეშმარიტი მოძღვარია, ერთადერთი, ვინც ჭეშმარიტებით ასწავლის მამასთან სავალ გზას.

2 თებერვალი

2023

უფლის ტაძრად წარდგენა
(მირქმა), დ, [ს], თ

ხუთშაბათი

მალ 3,1-4; ან ებრ 2,14-18; ფს 23; ლკ 2,22-40

ბერ-მონაზონთა დღე

იხილა ჩემმა თვალმა შენი ხსნა ლკ 2,30

სიმეონი საკუთარ გამოცდილებას ყვება: მისმა თვალებმა იხილეს ღვთის სასწაული – ყრმა, კაცთა მაცხოვარი. ჩემზეც მოიღო ხელი უფალმა, როცა შინაგანად ვიგრძენი სახარებისეული სიტყვით ცხოვრების ძლიერი სურვილი. ღრმა სიხარულმა მოიცვა მთელი ჩემი არსება და დღემდე ასე გრძელდება.

3 თებერვალი

2023

რიგითი IV კვირა [IV], მწ

წმ. ბლაზი, ეპ. და წამ. +IVს.;
წმ. ანსგარი (ოსკარი), ეპ. +865.

პარასკევი

ებრ 13,1-8; ფს 26; მარკ 6,14-29

ძმური სიყვარული დარჩეს ებრ 13,1

ებრაელთა მიმართ წერილში გაცხადებული ღვთის სიტყვა გვარწმუნებს, რომ ვისაც სწამს იესო და თავისი ცხოვრების ცენტრში აყენებს მას, უკვე ზეციური იერუსალიმის მკვიდრია და ღმერთი თავის ახლობლად თვლის. ამიტომაც, მოგვიწოდებს, რომ გავძლიერდეთ ძმურ სიყვარულში, რამეთუ ერთმანეთის დათმენით და პატივისცემით სავსე სიყვარულში, თავად იესო დგას ჩვენ შორის.

შაბათი

ებრ 13,15-17.20-21; ფს 22; მარკ 6,30-34

შეიკრიბნენ იესოსთან მოციქულები და თამბეს მას ყველაფერი, რაც გააკეთეს

მარ 6,30

რა მშვენიერი და რა დიდი წყალობაა იესოს გაუზიარო ყოველივე, რასაც აკეთებ და რასაც ასწავლი! რარიგ მშვენიერია, შენი ცხოვრებით მას ბაძავდე, ვინც თავის ეკლესიაში მიგვიძღვის: ღვთისა და მოყვასის სიყვარულით ცხოვრება გვიცავს შეცდომებისა და გზიდან აცდენისგან. სულო წმიდაო, შენ გვანიჭებ თავმდაბლობას და მიუძღვი ჩენს ნაბიჯებს!

5 თებერვალი

რიგითი V კვირადღე, «ა», [I], მწ

2023 ჯვირა

ეს 58,7-10; ფს 111; 1კორ 2,1-5; მთ 5,13-16

მთის წვერზე მდებარე ქალაქი
ვერ დაიმალება მთ 5,14

იესო ცდილობს შეგვაგონოს, რომ თუკი მასთან და მასში ვცხოვრობთ, სხვებისთვის სინათლე და გეზი ვართ. ამას თავის მოსაჩვენებლად არ ვაკეთებთ, უფალო, შენში გასხივოსხნებული შუქი უთუოდ გაანათებს და მიიზიდავს მრავალ ადამიანს.

რიგითი ჟამის V კვირა [I]
წმმ. პავლე მიკი და მეგ., წამ., +1597, (მ), წ

ორშაბათი

დაბ 1,1–19; ფს 103; მარკ 6,53–56

ვინც კი ეხებოდა, იკურნებოდა მარ 6,56

**იესოსთან კავშირი, მისი რწმენა გვიხ-
სნის და გვათავისუფლებს სულისა და
ხორცის არაერთი სნეულებისგან.
მადლობა, იესო: ოდესღაც, მეც მოვედი
შენთან წმინდა წირვაზე და სასოებით
ვეზიარე შენი სიცოცხლის პურს: და მეც
განვიკურნე ცხელებისგან და ყელის
მწვავე ტკივილისგან.**

7 თებერვალი

2023 სამშაბათი

დაბ 1,20–2,4; ფს 8; მარ 7,1-13

აუქმებთ ღვთის სიტყვას
თქვენი გადმოცემით მარ 7,13

რა იოლია, სურვილისამებრ, ვაქციოთ საკუთარი თავი ღმერთად, ჩვენი ეგოიზმის და ჩვენი აზრების გასამართლებლად! ამ საფრთხეს დავძლევთ ღმრთის სიტყვისადმი ერთგულებით, რომელიც მთელი სისრულით გაცხადდა იესოში და მის მიერ გამოსწორებით, ვინც თავის ეკლესიაში ცოცხლობს.

8 თებერვალი

2023

რიგითი ჟამის V კვირა [I], მწ

(26.I) წმ. დავით აღმაშენებელი, XI-XIIსს;/წმ. იეჰონიმე ემიღიანი, +1537;/წმ. იოსეფინა ბახიტა, ქაღწ., +1947

ოთხშაბათი

დაბ 2,4-9.15-17; ფს 103; მარ 7,14-23

ნუთუ თქვენც არ გაგეგებათ და ვერ მიმხვდარხართ? მარ 7,18

იესო უწმინდურ საკვებზე საუბრობს. ფარისევლები მათ ლოცვაში დაბრკოლებად თვლიან. სინამდვილეში, მისთვის ყველა საკვები ღვთის ძღვენია, გულს არ ვნებს, რამეთუ მუცელს გაივლის და გარეთ გამოდის, ხოლო ცუდი ზრახვები სიძვას, ძარცვას, მრუშობას, მკვლელობას, თაღლითობას, შურს წარმოშობს; ყოველივე ეს აზიანებს კაცის გულს. ეს ცოდვები ვნებენ ჩვენს და-ძმებს და შეურაცხყოფენ მამას. ამ ბოროტებისგან შერიგების საიდუმლო დაგვიხსნის.

9 თებერვალი

2023 ხუთშაბათი

დაბ 2,18-25; ფს 127; მარ 7,24-30

დიაკ. ანტონ ხითაროვის გახსენება (+2022)

ვერ შემლო დაფარვა მარ 7,24

იესო ცდილობს, შეარჩიოს მყუდრო ადგილი და დრო თავის მოწაფეთა განსასწავლად. თუმცა, მას ყველა ცნობს და ყოველთვის არ გამოსდის ეს. ეშმაკით შეპყრობილი ქალიშვილის გამო მწუხარე დედაკაცი მაინც მიაგნებს მას და თავმდაბლობით ითხოვს მისგან დახმარებას.

დღეს უკვე, იესო აღმდგარია და მუდამ მზადაა ჩვენს შესაწევნად. დავრჩეთ დაფარულში მის სიახლოვეს.

10 თებერვალი

2023

რიგითი V კვირა [I]

წმ. სქოლასტიკა, ქალწ. +≈542, (მ), თ

პარასკევი

დაბ 3,1-8; ფს 31; მარ 7,31-37

გაიფვანა იგი ცალე მარ 7,33

იესო ყრუ-მუნჯს მიუბრუნდება, რომელიც მისმა მეგობრებმა მიუყვანეს მას: იცოდნენ რა დიდი წინასწარმეტყველის სახელი გაეთქვა ისრაელში. იგი ყურებზე თითებ უსვამს, ნერწყვით ზელს თიხას და ენაზე ადებს, შემდეგ მამას აღაპყრობს მზერას ზეცაში და სულიწმიდას ჰფენს: „გაიხსენ!“.

მადლობა, იესო, ჩემზეც აღსრულდა ეს ყოველივე, როცა მოვინათლე, იმისათვის, რომ სიყვარულით ვისმინო და ხალისით ვაუწყო შენი სიტყვა.

11 თებერვალი

2023

რიგითი V კვირა [I], მწ

(29.I) წმ. ამოტ დიდი კუჩაპადატი, წამებ., +826;
ღუჩდის ღვთისმშობელი (უმანკო ჩასახება)1858

შ ა ბ ა თ ი

დაბ 3,9-24; ფს 89; მარ 8,1-10

სნეულთა დღე

რამდენიმე თევზიც ჰქონდათ...
ისიც ჩამოარიგებინა მარ 8,7

როგორც თევზის მცირე რაოდენობა, ასე წაადგება უფალისადმი მიძღვნილი ჩვენი ცხოვრება მრავალ ადამიანს. ჩემი ცხოვრება, სხვათა მსგავსად, ბევრს დახმარებია.

მადლობა უფალო, მოწყალების დაუშ-რეტელო წყაროვ! მადლობა შენ, უმანკო მარიამ: შენ აირჩიე ბეჩავი და უსწა-ვლელი გოგონა, რათა უამრავ ხალხა-მდე მიეტანა ურიცხვი წყალობა.

12 თებერვალი

რიგითი VI კვირადღე, «ა», [II], მწ

2023 კვირა

ზირ 15,15-20; ფს 118; 1კორ 2,6-10; მთ 5,17-37

თუ თქვენი სიმართლე არ აღემატება მწიგნობართა და ფარისეველთა სიმართლეს, ვერ შეხვალთ... მთ 5,20

დღეს კვირაა და უფლის აღდგომას აღვნიშნავთ. სამრეკლო ზარების საზეიმო რეკვაც შეგვახსენებს ამას. გამოსასვლელი სამოსით შევიმოსები და შენსკენ გამოვეშურები, იესო, რამეთუ მიხმობ შენი სიტყვის, შენი ხორცისა და ძმებთან ზიარების მოსანიჭებლად. მადლობა იმისათვის, რომ შენთან პირადი ურთიერთობის სურვილს აღძრავ ჩემში, რათა ამ გზით შემოვიდე შენს სამეფოში.

13 თებერვალი

2023 ორშაბათი

დაბ 4,1-15.25; ფს 49; მარ 8,11-13

და დაუწყეს დავა იესოს მარ 8,11

გახსენ ჩემი ბეჩავი გული, იესო, რათა შეგიცნოს შენ ვითარცა „ღმერთი ჩვენთან არს“, ვისაც ვუყვარვართ და ვინც მუდამ ზრუნავს ჩვენს სიკეთეზე. სხვებთან ერთად, მეც მწადია გაგახარო და განგადიდო, მუდამ მადლიერებით ვიცხოვრო და არასოდეს შემოვუშვა შენს მიმართ განსჯისა და განკიცხვის ბოროტი სული.

14 თებერვალი

2023

წმმ. კირილე, ბერი (+859) და
მეთოდი, ეპისკოპოსი (+885)
ევროპის მფარველნი, დ, [ს] თ

სამშაბათი

საქმ 13,46-49; ფს 116; ლკ 10,1-9

ვრცელდებოდა უფლის სიტყვა საქ 13,49

ძმებმა, კირილემ და მეთოდიმ, თა-
ვიანთი წმიდა ცხოვრებით განავრცეს
ღვთის სიტყვა. სლავ ხალხში იქადაგეს
იგი და მათ ენაზე თარგმნეს მთელი ბიბ-
ლია. რაოდენ დიდი და ძვირფასი მისიაა
ზეციერი მამის სიტყვის მიტანა მათ ყუ-
რამდე, ვისაც არასოდეს არაფერი სმე-
ნია მასზე და იესოს გაცნობა მათთვის,
ვინც არასოდეს შეხვედრია მას!

ოთხშაბათი

დაბ 8,6-13.20-22; ფს 115; მარ 8,22-26

განიკურნა და ყველაფერი ნათლად დაინახა მარ 8,25

იესომ ახლახან მოახდინა პურისა და თევზის გამრავლების სასწაული, ხუთიათას კაცზე. თუმცა, მათი უმეტესობა მაინც ვერ ხედავდა მასში მესიას. ბრმის განკურნების ახალი ნიშნით სურდა იესოს აეხილა ამ ადამიანთა თვალები. ნეტავ გაეგოთ ამ მოვლენებში როგორ ისხამდა ხორცს წინასწარმეტყველება...! ყველა სათითაოდ ამოიცნობდა მას, სხვის დაუხმარებლად.

16 თებერვალი

რიგითი VI კვირა [II], მწ

2023 ხუთშაბათი

დაბ 9,1-13; ფს 101; მარ 8,27-33

შენ ხარ ქრისტე მარ 8,29

დღეს ყველას გვისვამს იესო ამ კითხვას: „თქვენ რას ამბობთ, ვინ ვარ მე?“. სულო წმიდაო, ნათლობით ჩემში დავანებულო, შემეწიე რომ გავცე პასუხი! მადლობა, რამეთუ დარწმუნებით შემიძლია ვთქვა: „იესო, შენა ხარ ერთადერთი მხსნელი, შენა ხარ 'ღმერთი ჩვენთან არს', ვინც მამასთან როგორც შვილებს ისე წარგვადგენს. მადლობა, რამეთუ გვალხენ და გვამშვიდებ“.

17 თებერვალი

2023

რიგითი VI კვირა [II] მწ

(4.II) წმ. ღიხსი ევაგჩე მღვიმეღი VIს, მონაზ.;
ნ. ქაღწ. მახიამის მსახუჩთა ოჩდენის 7 დამფუძნებეღნი

პარასკევი

დაბ 11,1-9; ფს 32; მარ 8,34 – 9,1

მ. სიმონ კლიმაშევსკის გახსენება (+2006)

დაფანტა უფალმა ისინი იქიდან მიწის ზურგზე

დაბ 11,8

ბაბილონში ადამიანებმა შეძლეს არნახულად გაბრწყინებული და აყვავებული ქალაქის გაშენება და მაღალი კოშკის აგება, როგორც საყოველთაო რელიგიის სიმბოლოსი. ეს მათ გააკეთეს „ცის მიმართ თავაწეულებმა“, ანუ ღმერთთან ქიშპობით გააკეთეს. უფალმა გამოიღო დიდი წყალობა და გაფანტა ისინი. მადლობა, მამაო, რამეთუ გვაბრკოლებ, რომ ერთმანეთის მონებად არ ვიქცეთ სიმდიდრის განღვთიურებით. შენი მოწყალე ხელით ერევი შენი შვილების ჭეშმარიტ სიკეთეში.

18 თებერვალი

2023 შაბათი

ებრ 11,1-7; ფს 144; მარ 9,2-13

აიყვანა მღალ მთაზე განმარტოებით მარ 9,2

მაღალ მთაზე სიმშვიდე სუფევს და ღმერთთან სიახლოვეს ვგრძნობთ; მთაზე ასვლა ბევრს გამოუცდია. ზოგჯერ თავად იესო გაგვიყვანს განზე, სიჩუმეში, რათა მასთან ერთად ვუსმინოთ მამას. მთაზე სამმა მოწაფემ ნახა და გაიგონა ის, რაც არავის უხილავს და გაუგონია; თუმცა ლოდინი იყო საჭირო, ვიდრე სხვებს უამბობდნენ მასზე.
ზოგჯერ, მეც მიწვევს იესო სიჩუმეში, თუნდაც ხანრძლივად!

19 თებერვალი

რიგითი VII კვირადღე, «ა», [III], მწ

2023 კვირა

ლევ 19,1-2.17-18; ფს 102; 1კორ 3,16-23; მთ 5,38-48

იყავით სრულყოფილნი, როგორც თქვენი ზეკიერი მამაა სრულყოფილი მთ 5,48

იესო გვამხნევებს, რომ შევიყვაროთ ჩვენი მტრები. მამამისისთვის ხომ მტრები ის მოყვასია, რომელიც უნდა შეიყვარო! მადლობა, იესო, რამეთუ გაგვიცხადე მამა ერთადერთ სიყვარულად. მადლობა, რომ შენთვის და მამისთვის სიყვარულის სრულყოფილება ნიშნავს იმას, რომ „წვიმას უგზავნის მართლებსა და უსამართლოებს“; მადლობა, რამეთუ ჩვენც გვანიჭებ უანგარო სიყვარულის და შენი მშვენიერების გამოხატვის უნარს.

2023 **ორშაბათი**

ზირ 1,1-10; ფს 92; მარ 9,14-29

მწამს! უშველე ჩემს ურწმუნოებას მარ 9,24

**იესო მაპატიე: ყოველდღე ვიჩენ ურ-
წმუნოებას და ბოლომდე ვერ გენდობი
განსაცდელის ჟამს. მეც ვიმეორებ ამ
სიტყვებს: „მწამს, უშველე ჩემს ურწმუ-
ნოებას“ და შენ განდიდდები.**

21 თებერვალი

2023

წმ. პეტრე დამიანი, ეპ. დაეკე. მოძ. +1072

სამშაბათი

ზირ 2,1-11(1-13); ფს 36; მარ 9,30-37

ვინც მიიღებს ერთ ასეთ ბავშვს ჩემი სახელით, ის მე მიმიღებს მარ 9,37

იესოს უყვარს პატარები, გულით მდა-
ბალნი, რომლებიც არ იკვეხნიან: ისინი
ყველაზე მეტად ჰგვანან მას. იესო თავის
მოწაფეებს მიუთითებს მათზე, როგორც
ნიმუშზე და მათზე, ვინც მისი სიყვარუ-
ლის გამო უნდა მიიღონ: სწორედ მათი
სახით გრძნობს იგი როგორ რაოდენ
იღებენ და როგორ უყვართ.
მოდი, სულო წმიდაო, რათა შეგვიყვანო
ჭეშმარიტ თავმდაბლობაში.

2023

ოთხშაბათი

იოელ 2,12-18; ფს 50; 2კორ 5,20 6,2; მთ 6,1-6.16-18

მძიმე მარხვის დღე

როცა მოწყალებას გასცემ,
ნუ გაახმაურებ შენს წინაშე მთ 6,2

დღეს დიდმარხვის ჟამში შევდივართ, მოქცევისა და იესოსთან დაბრუნების ჟამში. იესო იმ „სათნო საქმეებს“ ჩამოთვლის, რაც მოსაწონია მამის თვალში, თუკი უანგარო სიყვარულით ვიცხოვრებთ. პირველი არის მოწყალება, ანუ გულისყური მოყვასთა საჭიროებებზე, გინდ შინ, გინდ გარეთ. ამას საკუთარი თავის გამოსაჩენად არ უნდა ვაკეთებდეთ და არც ჩვენი სინდისის დასამშვიდებლად, არამედ როგორც მადლიერი შვილები, რომლებიც მამის უსაზღვრო სიყვარულით ცხოვრობენ.

23 თებერვალი

ხუთშაბათი ნაცრისყრის შემდეგ [IV], ი

წმ. პოლიკარპე, ეპ. და წამ., +155
(10.II) წმ. ღიხსი იოანე ჭიმჭიმელი VIს, მთაიგმნელი

2023

ხუთშაბათი

რჯლ 30,15-20; ფს 1; ლკ 9,22-25

მ. სტეფანე დემურიშვილის გახსენება (+1938)

კაცის მის ხვედრია, მრავალი
ტანჯვა აიტანოს ლკ 9,22

იესო თავის მოწაფეებს ამზადებს, რომ მისი ვნება მიიღონ. ჯვარი მათ ცხოვრებაშიც იქნება და ასევე სრულიად ეკლესიის ცხოვრებაში. უდანაშაულო და სამართლიანი უსამართლოთა ტვირთის ტარებით დაიტანჯება. „ჩვენი სასჯელი მასზე იყო“, – გვეუბნება ესაია. მასთან ერთად ვიზიარებთ მის ამ სიყვარულს.

2023 **პარასკევი**

ეს 58,1-9; ფს 50; მთ 9,14-15

დაიძახებ და უფალი გიჭასუხებს:
"აქა ვარ!" ეს 58,9

ისრაელის ხალხი წლების მანძილზე ეკონომიკურ, სოციალურ და რელიგიურ სიდუხჭირეში იმყოფება. მათი უმრავლესობა მარხულობს და იცავს შაბათს, მაგრამ თითქოს ღმერთი არ ერევა მათ ცხოვრებაში.

ჩვენ მაინც ვაგრძელებთ მისდამი ლოცვას, დაუღალავად, სამართლიანი საქმეების კეთებით. ნუთუ დაიღლება ჩვენი სათხოვარის მოსმენით? ცხადია არა! მაგრამ დადგება დღე, როცა იტყვის: „აჰა, აქა ვარ". და ჩვენ გადავრჩებით!

25 თებერვალი

2023

შაბათი ნაცრისყრის შემდეგ [IV], ი

(12.II) წმ. ღიხსი პხოხოხე, იეხუსაღემის ჯვხის მონასტხის ამშენებეღი, XIს

შ ა ბ ა თ ი

ეს 58,9-14; ფს 85; ლკ 5,27-32

მანაც მიატოვა ყოველივე,
წამოდგა და გაჰყვა მას ლკ 5,28

იესოს სიტყვა და მისი ხმა ღვთის სიყვა-
რულია, გულს ახარებენ მის მისაღებად,
ცხოვრებას ანახლებენ და მის მიმდე-
ვრობაში გვამტკიცებენ.
მადლობა, იესო, რამეთუ მეც მესაუბრე
და მიიღე ჩემი მცირედი მორჩილებები:
კურთხევად მექცნენ ისინი!

26 თებერვალი

დიდმარხვის I კვირადღე, «ა», [I], ი

2023 ჯვრა

დაბ 2,7-9; 3,1-7; ფს 50; რომ 5,12-19; მთ 4,1-11

სულმა წაიყვანა იესო უდაბნოში მთ 4,1

ეს-ესაა მამამ საკუთარ ძედ გამოაცხადა
იესო. მასზე გარდმოსული სულიწმი-
და მიუძღვის, ამხნევებს და და გაჰყავს
იგი უდაბნოში. ამ უკაცრიელ და მწირ
ადგილზე მარხულობს იგი. ეს მამის
გასაცხადებლად საუკეთესო გარემოა. აქ
შეუძლია იესოს მამისადმი თავისი სი-
ყვარულის სრულად გამოხატვა.
იესო, ამ მარხვის ჟამს, მეც მსურს შევიქ-
მნა ეს გარემო, რათა მივიღო და გავცე
შენი სიყვარული.

27 თებერვალი

2023 ორშაბათი

ლევ 19,1-2.11-18; ფს 18; მთ 25,31-46

და შეიკრება მის წინაშე ყოველი ერი მთ 25,32

იესო აუწყებს, თუ როგორი იქნება წუთისოფლის უკანასკნელი სამსჯავრო. იგი განიკითხავს ყოველ კაცს, ყოველი ერისა და რჯულისა, იმ მოწყალებით, რითაც იცხოვრა. მეც ასე შევძლებ ცხოვრებას და მართალთა შორის მოვიპოვებ ადგილს ამ განკითხვის ჟამს. სულო წმიდაო, შენ ჩვენს შორის ბინადარი და ჩვენი ქომაგი ხარ, რათა მამის სიყვარულით მივიღოთ გასაჭირში მყოფნი!

28 თებერვალი

2023 სამშაბათი

ეს 55,10–11; ფს 33; მთ 6,7–15

და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში მთ 6,13

ეს ის ძვირფასი სიტყვებია, რითაც იესო ლოცვას გვასწავლის. თუკი მთელი ჩვენი რწმენით და სიმტკიცით მივმართავთ ზეციერ მამას, შედეგსაც მივიღებთ. ის მოგვცემს ძალას, რათა არ ჩავიდინოთ ის, რაც ბოროტია მის თვალში. მადლობა, იესო, ამ სიტყვების მონიჭებისთვის.